მშვიდობის საერთაშორისო დღე

სავარჯიშოების კრებული

მაია ბლიაძე

დავალება N1

ცნობილმა ქიმიკოსმა, ინჟინერმა, გამომგონებელმა და იარაღის წარმოების მთავარი კონცერნის დამაარსებელმა ალფრედ ნობელმა, რომელმაც შთამბეჭდავი ქონება დააგროვა თავისი გამოგონებით (კერძოდ, დინამიტით), თავისივე სახელობის პრემია დააწესა.

ნობელის პრემია ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო პრემიაა, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა გამოჩენილი სამეცნიერო კვლევებისთვის, რევოლუციური გამოგონებებისთვისა და კულტურასა და სოციალურ განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ნობელის პრემია მშვიდობის დარგში ერთ-ერთია მისი ხუთი პრემიიდან (ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მშვიდობის, ფიზიკის, ლიტერატურის დარგებში; ასევე, ნობელის სახელობის შვედეთის სახელმწიფო ბანკის პრემია ეკონომიკურ მეცნიერებებში). 1901 წლის მარტიდან პრემია ყოველწლიურად (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) გადაეცემა იმ ადამიანებს, რომლებიც „შეიტანენ ყველაზე მეტ ან საუკეთესო წვლილს ერთა შორის ძმობის, არმიების გაუქმების ან არსებული ჯარების შემცირებაში და სამშვიდობო კონგრესების ხელშეწყობაში".

1. მოიძიეთ ინფორმაცია და გაეცანით ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატებს.

2. შეარჩიეთ მინიმუმ ხუთი ლაურეატი, რომელთა საქმიანობა ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და მათ იდენტიფიცირებას.

3. მოიყვანეთ თქვენი არჩევანის დამადასტურებელი არგუმენტები.

4. შეავსეთ ცხრილი.

N	ნობელის პრემიის ლაურეატები	მდგრადი განვითარების მიზნები	არგუმენტები
1			
2			
3			
4			

5			

დავალება N2

21 სექტემბერი მშვიდობის საერთაშორისო დღეა. ოდესმე გიფიქრიათ, რისთვის არის საჭირო საერთაშორისო დღეები?

საერთაშორისო დღეები იმისთვისაა საჭირო, რომ მოხდეს ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვან საკითხებზე, მობილიზდეს პოლიტიკური ნება და რესურსები გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად; ასევე, ადამიანური მიღწევების აღსანიშნავად და განსამტკიცებლად. ასეთი დღეების გამოცხადება ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც წარმოდგენილია გაეროს 193 წევრი სახელმწიფოს სახით, შეშფოთებულია ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის გამო.

საერთაშორისო დღეების თემატიკა უკავშირდება გაეროს საქმიანობის ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. თითოეული საერთაშორისო დღე მრავალ დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, მოაწყოს ამ დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები.

გაეცანით ინფორმაციას ქვემოთ მოცემულ ცხრილში; აირჩიეთ თარიღი, რომლის აღსანიშნავად მზად ხართ. დაგეგმეთ და თქვენს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ქალაქში/თემში გამართეთ ღონისძიება, რომელიც ეძღვნება ერთ-ერთ საერთაშორისო დღეს ოქტომბერ-ნოემბერში.

ოქტომბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
ოქტომბრის მეორე შაბათი - გადამფრენი ფრინველების მსოფლიო დღე (UNEP)	24 ოქტომბერი გაეროს დღე	10 ნოემბერი - მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის (იუნესკო)
11 ოქტომბერი - გოგონათა საერთაშორისო დღე	24 ოქტომბერი - განვითარებაზე ინფორმაციის მსოფლიო დღე	14 ნოემბერი - დიაბეტის მსოფლიო დღე
14 ოქტომბერი - კატასტროფების რისკის შემცირების საერთაშორისო დღე	27 ოქტომბერი - აუდიოვიზუალური მემკვიდრეობის მსოფლიო დღე	15 ნოემბერი - (ნოემბრის მესამე კვირა) ავტოსაგზაო მოძრაობის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის მსოფლიო დღე
15 ოქტომბერი - სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე	31 ოქტომბერი - ქალაქების მსოფლიო დღე	16 ნოემბერი - ტოლერანტობის საერთაშორისო დღე
16 ოქტომბერი - სურსათის მსოფლიო დღე (FAO)		19 ნოემბერი - (ნოემბრის მესამე ხუთშაბათი) ფილოსოფიის მსოფლიო დღე (იუნესკოს 33-ე სესიის რეზოლუცია)
17 ოქტომბერი - სიღარიბის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე		20 ნოემბერი - ბავშვთა მსოფლიო დღე

დავალება N3

ა. გაეცანით ინფორმაციას საკითხავ მასალაში; მოიძიეთ დამატებითი მასალები მშვიდობის საერთაშორისო დღისა და მსოფლიო მშვიდობის დღის ისტორიის შესახებ; შეავსეთ შედარების ცხრილი და ახსენით მათ შორის მსგავსება და განსხვავება.

მშვიდობის საერთაშორისო დღე	**კრიტერიუმები**	**მშვიდობის მსოფლიო დღე**
	თარიღი	
	როდის მოხდა ამ დღის ინიცირება?	
	როგორ მოხდა მისი ინიცირება?	
	აღნიშვნის მთავარი იდეა (2-3 წინადადება)	

ბ. როგორ ფიქრობთ, რომელი დღე უფრო მნიშვნელოვანია მსოფლიოს საზოგადოებისთვის და რატომ?

დავალება N4

როგორც მსოფლიოში ერთადერთი ჭეშმარიტად უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, გაერო მთავარი ფორუმია იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს და რომლებსაც ვერ გადაწყვეტს მარტო ერთი რომელიმე ქვეყანა.

გაეროს დაარსებიდან დღემდე, მის თავდაპირველ მიზნებს ახალი პრობლემები დაემატა, მაგალითად, მშვიდობის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა, საერთაშორისო სამართლიანობის დაცვა და ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, საერთაშორისო ტერორიზმი, შიდსი და სხვ..

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტების გადაწყვეტა და მშვიდობის შენარჩუნება კვლავაც რჩება გაეროს ყველაზე თვალსაჩინო ძალისხმევის ობიექტად, ორგანიზაცია, თავის სპეციალიზებულ სააგენტოებთან ერთად, ასევე ჩართულია სხვა აქტივობების ფართო სპექტრში, რათა გააუმჯობესოს ადამიანების ცხოვრება მთელ მსოფლიოში. მაგალითად, გაერო აქტიურად არის ჩართული ისეთ საკითხებში, როგორებიცაა დახმარება ბუნებრივი კატასტროფების დროს, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება და ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება.

გაეცანით გაეროს დღის წესრიგში არსებულ გლობალურ საკითხებს; ჩაატარეთ მინი-კვლევა; დაადგინეთ, რომელი გლობალური საკითხებია ყველაზე აქტუალური ჩვენი ქვეყნისთვის, თქვენი რეგიონისთვის, საზოგადოებისთვის და მოამზადეთ 2-3 ინიციატივა, რომელიც მიმართული იქნება ამ პრობლემების გადასაჭრელად. წარმოადგინეთ ისინი თქვენთვის სასურველი ნებისმიერი ფორმით.

სასარგებლი ბმულები:

https://www.un.org/

https://georgia.un.org/ka/about/about-the-un

დავალება N5

გაეროს მშვიდობის დესპანები (ინგლ. UN Messenger of Peace) ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების, მუსიკისა და სპორტის სფეროში მოღვაწე გამოჩენილი ადამიანები არიან, რომლებიც ცდილობენ დაეხმარონ გაეროს და მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ ორგანიზაციის მუშაობაზე. გენერალური მდივნის გადაწყვეტილებით, ისინი მსოფლიო მოქალაქეების საპატიო მისიას თავდაპირველად ორი წლის განმავლობაში ასრულებენ. ეს გამორჩეული პიროვნებები ნებაყოფლობით ხარჯავენ თავიანთ დროს, ნიჭსა და ენერგიას საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად გაეროს ძალისხმევის შესახებ, რომელსაც ორგანიზაცია მილიარდობით ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესებლად ახორციელებს. გაეროს მშვიდობის დესპანები მთელ მსოფლიოში საზოგადოებასთან ურთიერთობის, საერთაშორისო მედიისა და ჰუმანიტარული სამუშაოების მეშვეობით ცდილობენ მიმართონ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება გაეროს იდეალებისა და მიზნებისკენ.

ამ ცნობილმა ადამიანებმა, საკუთარი კეთილგანწყობისა და რეპუტაციის წყალობით, გაეროს მუშაობა უფრო თვალსაჩინო და ცნობადი გახადეს. კონკრეტულ საკითხებზე ყურადღების მიქცევის გარდა, ზოგიერთმა აქტიურად დაუჭირა მხარი სხვადასხვა კამპანიას, რის შედეგადაც ბევრი ადამიანი აქტივისტად იქცა. გაეროს მშვიდობის დესპანები სხვადასხვა აქტივობასა და ღონისძიებაში მონაწილეობენ, ატარებენ კონცერტებს, გამოდიან სიტყვით გაეროს მაღალი დონის შეხვედრებზე და იყენებენ სოციალურ მედიას, მაგალითად, Twitter-სა და Facebook-ს კონკრეტული კამპანიის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ისინი ასევე მიდიან ადგილებზე, სადაც ხორციელდება გაეროს პროგრამები და ტარდება აქტივობები, რითაც ხელს უწყობენ რეგიონული და ადგილობრივი საკითხების გაშუქებას საერთაშორისო მედიაში.

მშვიდობის დესპანებს ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, მაშინ, როცა კეთილი ნების ელჩებს ნიშნავენ გაეროს ფონდების, პროგრამებისა და სპეციალიზებული სააგენტოების ხელმძღვანელები, მაგალითად: UNICEF, მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP) და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR). კეთილი ნების ელჩების დანიშვნას ამტკიცებს გენერალური მდივანი.

მშვიდობის დესპანების პროგრამა 1998 წელს ამოქმედდა და მას შემდეგ არჩეული პირები იყენებენ თავიანთ სახელს, რეპუტაციასა და ენერგიას ჩვენს პლანეტაზე უფრო მშვიდობიანი სამყაროს ჩამოსაყალიბებლად.

1. გაეცანით ცხრილში ჩამოთვლილ გაეროს მშვიდობის დესპანებს და, ცხრილის ქვემოთ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, თოთოეულ ფოტოს მიუწერეთ სახელი და გვარი.



ინფორმაცია გაერის მშვიდობის დესპანების შესახებ:

1. ბრაზილიელი მწერალი **პაულო კოელიო** ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ავტორია თანამედროვე მსოფლიოში. მისი 67 ენაზე თარგმნილი 86 მილიონზე მეტი წიგნი მსოფლიოს 150 ქვეყანაშია გაყიდული. მას მიღებული აქვს მრავალი

ლიტერატურული ჯილდო სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთსა (La Legion d'Honneur) და იტალიაში (Grinzane Cavour).
მეტად ფართოა მწერლის წიგნების გაყიდვების გეოგრაფია: მისი წიგნები ყველაზე გაყიდვადია არა მხოლოდ ბრაზილიაში, არამედ დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, კანადაში, იტალიაში, ისრაელში, ფინეთსა და საბერძნეთში. კოელიოს „ალქიმიკოსი“ კი ყველაზე გაყიდვადი წიგნია (გაყიდულია 11 მილიონზე მეტი ეგზემპლარი) ბრაზილიის ისტორიაში და შეტანილია გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში.
პაულო კოელიო თავის საერთაშორისო პოპულარობას სიღარიბესთან საბრძოლველად მის მიერ დაარსებული პაულო კოელიოს ინსტიტუტის მეშვეობით იყენებს. ის ასევე არის კულტურული მრავალფეროვნების მხარდამჭერი და იუნესკოში მუშაობს, როგორც სპეციალური მრჩეველი კულტურათაშორისი დიალოგისა და სულიერი დაახლოების საკითხებში.
2009 წლიდან კოელიო გენერალური მდივნის პან გი მუნის მამაკაცი ლიდერების ქსელის წევრია. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულნი არიან ცნობილი ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, ცდილობენ გაატარონ კონკრეტული ქმედებები მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის დასასრულებლად. როგორც მშვიდობის დესპანი, კოელიო ასევე აქტიურად მუშაობს მთელ მსოფლიოში ხალხის სენსიბილიზაციაზე მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით.

საქმიანობის სფერო - სიღარიბის აღმოფხვრა და კულტურათაშორისი დიალოგი, ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა.

2. მრავალი ჯილდოს მფლობელი მსახიობი და ოსკარის ოთხგზის ნომინანტი **ლეონარდო დი კაპრიო,** თავისი სამსახიობო კარიერის პარალელურად, ცნობილი გარემოსდამცველია. 1998 წელს, 24 წლის ასაკში, დი კაპრიომ დააარსა საკუთარი ფონდი, რომლის მიზანი დედამიწაზე არსებული ბოლო ხელუხლებელი კუთხეების დაცვა და ისეთი გადაწყვეტილებების შემუშავებაა, რომლებიც კაცობრიობასა და ბუნებას შორის უფრო ჰარმონიული ურთიერთობის მიღწევას შეუწყობს ხელს. გრანტების, საჯარო კამპანიებისა და მედია პროექტების მეშვეობით, დი კაპრიო ცდილობს აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება გარემოსდაცვითი მიმართულებით და მოიპოვოს ფინანსური მხარდაჭერა ბიომრავალფეროვნების დაცვის, საზღვაო და ტყის რესურსების მართვისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად.
ლეონარდო დი კაპრიოს ფონდის მხარდაჭერით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 35-ზე მეტი ინოვაციური პროექტი ხორციელდება დაუცველი ეკოსისტემებისა და ფლორისა და ფაუნის გადაშენების პირას მყოფი სახეობების შენარჩუნების მიზნით.

დი კაპრიო რამდენიმე გარემოსდაცვითი ორგანიზაციის საბჭოს წევრია, მათ შორისაა ველური ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF), ბუნებრივი რესურსების დაცვის საბჭო, ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ფონდი და პროექტი „სუფთა ზღვები და ოკეანეები 5“. ის ასევე არის პროექტ „გადაწყვეტილებების“ მრჩეველი, რომელიც ეძღვნება სუფთა, განახლებადი ენერგიის პოპულარიზაციას და ფართოდ დანერგვას. 2014 წელს დი კაპრიოს საქველმოქმედო საქმიანობისთვის მიენიჭა კლინტონის ფონდის პრესტიჟული პრემია „მსოფლიო მოქალაქე“.
გაეროს გენერალურმა მდივანმა დი კაპრიო მშვიდობის დესპანად 2014 წელს დანიშნა.

საქმიანობის სფერო - ბიომრავალფეროვნება, მწვანე ენერგიის პოპულარიზაცია, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა.

3. ამერიკის კონოაკადემიის ჯილდოს მრავალგზის მფლობელი მსახიობი და პროდიუსერი **მაიკლ დუგლასი** განიარაღების, მათ შორის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და მცირე სასროლი და მსუბუქი იარაღით უკანონო ვაჭრობის შეწყვეტის ძლიერი დამცველია. საჯარო გამოსვლების საშუალებით, სადაც მსახიობი მცირე და მსუბუქი იარაღის უკანონო შენახვასა და ვაჭრობაზე გამკაცრებულ კონტროლს მოითხოვდა, მაიკლ დუგლასმა მოახერხა საზოგადოების ყურადღების მიპყრობა გაეროს ძალისხმევაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის.
როგორც მშვიდობის დესპანმა, დუგლასმა მონაწილეობა მიიღო სიერა ლეონეში გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, სახელწოდებით „რა ხდება?“, რომელიც გაეროს 10-სერიანი პროექტის ნაწილს წარმოადგენდა და მიმართული იყო ბავშვი ჯარისკაცების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელებისკენ.

საქმიანობის სფერო - განიარაღება.

4. მისი უდიდებულესობა **პრინცესა ჰაია ბინტ ალ ჰუსეინი** იორდანიის მეფე ჰუსეინისა და მისი მესამე ცოლის - დედოფალ ალიას ქალიშვილი და მეფე აბდულა II-ის ნახევარდაა. პრინცესა ჰაია არაბთა გაერთიანებული საამიროების პრემიერ-მინისტრის, შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტუმის მეოთხე და უმცროსი მეუღლეა. იგი მუჰამედის 41-ე თაობის პირდაპირი შთამომავალია, რადგან დაიბადა ჰაშიმიდების ოჯახში (რომლებიც იორდანიას 1921 წლიდან მართავენ).
პრინცესა ჰაია ბინტ ალ-ჰუსეინი ცნობილია თავისი აქტიური მუშაობით ჰუმანიტარული დახმარების მიმართულებით. იგი გახდა პირველი არაბი ქალი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საცხენოსნო შეჯიბრებებში კონტინენტურ,

მსოფლიო და ოლიმპიურ დონეზე. 2006 წელს პრინცესა ჰაია აირჩიეს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად და ამ თანამდებობას იგი 2014 წლამდე იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი 2007 წლიდან 2014 წლამდე.
პრინცესა ჰაია ბევრს აკეთებს ჯანმრთელობის, განათლებისა და სპორტის პოპულარიზაციისთვის არაბული და მუსლიმური სამყაროს ახალგაზრდებში. 2005-დან 2007 წლამდე იყო მსოფლიო სასურსათო პროგრამის კეთილი ნების ელჩი. 2007 წლის 21 სექტემბერს გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა იორდანიის პრინცესა გაეროს მშვიდობის დესპანად დანიშნა. ის ასევე გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ შექმნილი გლობალური ჰუმანიტარული ფორუმის ერთ-ერთი დამფუძნებელია. 2015 წელს პრინცესას გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამამ შიმშილის გმირის ჯილდო გადასცა. როგორც მშვიდობის დესპანი, ის საერთაშორისო დონეზე მუშაობს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე, „უკიდურესი სიღარიბისა“ და „ნულოვანი შიმშილის“ აღმოსაფხვრელად. მშობლიურ იორდანიაში პრინცესა ჰაიამ პირველი არაბული არასამთავრობო ორგანიზაცია Tikyet Um Ali (TUA) („ჭამე, რომ იცხოვრო“) დააარსა. ორგანიზაცია ათასობით ღარიბ ოჯახს უწევს დახმარებას სურსათით უზრუნველყოფასა და დასაქმებაში.
პრინცესა ჰაია ასევე არის დუბაის საერთაშორისო ჰუმანიტარული ქალაქის თავმჯდომარე. ესაა მსოფლიოს უდიდესი ცენტრი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და გრძელვადიანი განვითარებისთვის.

საქმიანობის სფერო: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა.

5. ცნობილი ებრაელი დირიჟორისა და პიანისტის **დანიელ ბარენბოიმის** დებიუტი, როგორც სოლო არტისტის, 10 წლის ასაკში შედგა. მას შემდეგ იგი სხვადასხვა ორკესტრთან თანამშრომლობს მთელ მსოფლიოში.
1991-2006 წლებში ბარენბოიმი ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრის მუსიკალური დირექტორი იყო. 1999 წელს მან დააარსა ორკესტრი, სახელწოდებით „დასავლეთ-აღმოსავლეთ დივანი“, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდა მუსიკოსებს ისრაელიდან და არაბული ქვეყნებიდან, შუა აღმოსავლეთის სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის დიალოგისა და საერთო მიზნების განვითარების სტიმულირების მიზნით. ამ ორკესტრმა 2005 წელს რამალაში (პალესტინა) უპრეცედენტო კონცერტი გამართა, ხოლო 2006 წელს ორკესტრს გამოსვლა ჰქონდა გაეროში და ნიუ-იორკის კარნეგი ჰოლში. ბარენბოიმს ეკუთნის პროექტის იდეა, რომელიც პალესტინის ტერიტორიაზე მუსიკალური განათლების ხელშეწყობას ეხება და მუსიკაზე ორიენტირებული საბავშვო ბაღის გახსნას და პალესტინის ახალგაზრდული ორკესტრის დაარსებას ითვალისწინებდა.

საქმიანობის სფერო: მშვიდობისა და ტოლერანტობის საკითხები.

6. **ჯეინ გუდოლი** ბრიტანელი პრიმატოლოგი, ეთოლოგი და ანთროპოლოგი, ასევე, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის ქალბატონი-კომანდორია. გუდოლის მეცნიერული და საგანმანათლებლო მუშაობა გარემოს დაცვისა და კონსერვაციის პრობლემებს ეხება. გუდოლი ტანზანიაში, გომბე-სტრიმის ეროვნულ პარკში შიმპანზეების ხანგრძლივი და დეტალური კვლევით არის ცნობილი. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, მეცნიერმა შეძლო შიმპანზეების შესახებ არაერთი არასწორი შეხედულების შეცვლა. მან დაამტკიცა, რომ ეს ცხოველები ყოვლისმჭამელი არსებები არიან, შეუძლიათ იარაღების შექმნა და გამოყენება და ავლენენ რთულ სოციალურ ქცევებს.
   გუდოლი არაერთი სამეცნიერო და საბავშვო წიგნისა და სტატიის ავტორია. მათ შორისაა ცნობილი „კაცთა ჩრდილქვეშ“.
   2002 წელს გაერომ ის მშვიდობის დესპანად დაასახელა. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და საპატიო წოდება, მათ შორის, ბრიტანეთის იმპერიის ორდენი (2003). მისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ გადაღებულია რამდენიმე ფილმი, მათ შორის, ბიოგრაფიული დოკუმენტური ფილმი „ჯეინი“ (National Geographic-ის ფილმების სტუდია, 2017).

საქმიანობის სფერო: გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნება.

7. პოპულარული ამერიკელი კინომსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი, რომელიც სამჯერ იყო ნომინირებული ოსკარზე, **ედვარდ ნორტონი** 2010 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა კეთილი ნების ელჩად დანიშნა ბიომრავალფეროვნების საკითხებში. ამის გამო ნორტონი მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის სამდივნოსთან. მისი მიზანია, გააცნოს ფართო საზოგადოებას ბიოლოგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობა ადამიანის კეთილდღეობისთვის და წაახალისოს მსოფლიო ლიდერები, მიიღონ აუცილებელი ზომები გარემოს დასაცავად.
   მსახიობი ცნობილი აქტივისტია სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებში. ის არის ორგანიზაცია „მასაის ველური ფონდის“ (Maasai Wildlife Trust“) გამგეობის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც მუშაობს აღმოსავლეთ აფრიკის ტრადიციულ თემებთან, რათა შენარჩუნებულ იქნეს რეგიონში გავრცელებული ბუნებრივი ეკოსისტემები.
   თავის დროზე ნორტონმა დააარსა Solar Neighbor პროგრამა, რომლის მიზანი დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების სახლების მზის ელექტროსადგურებით უზრუნველყოფა იყო. ნორტონი ასევე არის ფონდების: „High Line Friends of the

Line“-ის (ფონდი მუშაობს ნიუ-იორკში მწვანე ტერიტორიების შესანარჩუნებლად), Grand Canyon Trust-ის, The Wilderness Society-ის (იცავს ბუნებრივ ტერიტორიებს შეერთებულ შტატებში) და Earthjustice-ის (უზრუნველყოფს იურიდიულ მხარდაჭერას ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში) სამურვეო საბჭოს წევრი.

საქმიანობის სფერო: გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნება, მწვანე ენერგია.

8. სამხრეთ აფრიკული წარმოშობის ამერიკელი მოდელი და მსახიობი **შარლიზ ტერონი** ერთადერთი ბავშვი იყო გერდა ჯეიკობ ალეტისა და ჩარლზ ტერონის ოჯახში. დედის მხრიდან ტერონი გერმანული წარმოშობისაა, ხოლო მამის მხრიდან ფრანგული და ნიდერლანდური ფესვები აქვს. ტერონის მშობლები ფერმას და გზების მშენებლობის ფირმას ფლობდნენ.
ტერონი 1990-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი როლებით ისეთ ფილმებში, როგორებიცაა: „ორი დღე ხეობაში“, „მძლავრი ჯო იანგი“, „ეშმაკის ადვოკატი“ და „მეღვინეების წესები“. ტერონის მიერ განსახიერებულმა სერიული მკვლელის ეილინ უორნოსის როლმა ფილმში „მონსტრი“ (2003) კრიტიკოსებისა და კინომოყვარულების მოწონება და არაერთი ჯილდო დაიმსახურა, მათ შორის, „ოქროს გლობუსი“, „ვერცხლის დათვი“, „ოსკარი“ ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის და სხვა. შარლიზ ტერონი აფრიკაში დაბადებულთაგან პირველი მსახიობი გახდა, რომელმაც ოსკარი მოიპოვა. 2005 წელს იგი კვლავ წარადგინეს ოსკარის ნომინაციაზე ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ფილმში „ჩრდილოეთის ქვეყანა“ (2005). ჰოლივუდის ბულვარზე გახსნილია შარლიზ ტერონის სახელობის ვარსკვლავი.
როგორც გაეროს მშვიდობის დესპანი, შარლიზ ტერონი აქტიურად არის ჩართული აივ-ის პრევენციასა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიებში. 2007 წელს მან დაიწყო თავისი საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია აფრიკელი ახალგაზრდების დახმარება, რომ მათ შეძლონ შიდსისგან თავის დაცვა. ეს პროექტი დაეხმარა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ პროგრამებს კონკრეტულ თემებში მცხოვრები 10-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორებიცაა: ახალგაზრდებისთვის ხელსაყრელი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განათლება, სასიცოცხლო უნარები და ფსიქოსოციალური მხარდაჭერა. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ახალგაზრდების შესაძლებლობების გაფართოებას შიდსის პრევენციის მიზნით.
2009 წლიდან შარლიზ ტერონი თანამშრომლობს ლოს-ანჯელესის საფეხბურთო კლუბთან სამხრეთ აფრიკის სოფლებში საფეხბურთო მოედნების მოსაწყობად. ამერიკული საფეხბურთო კლუბი სამხრეთ აფრიკის უმჰაინაკუდეს რაიონის

სკოლებს ფეხბურთის პროგრამების განვითარებაში სამი წლის განმავლობაში ეხმარებოდა. ეს დახმარება მოიცავდა უნიფორმების, ბუცების, ბურთებისა და აღჭურვილობის შეძენას, ასევე, ადგილობრივი მწვრთნელების, მსაჯებისა და ადმინისტრატორების პროფესიულ მომზადებას. პროგრამის მიზანი იყო, მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა იმ ახალგაზრდებისადმი, რომლებიც სამხრეთ აფრიკის შორეულ რაიონებში ცხოვრობენ, სადაც ძალიან მაღალია შიდსით ინფიცირებულთა პროცენტული მაჩვენებელი.
ტერონი მონაწილეობს ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობაში.

საქმიანობის სფერო: ჯანდაცვა, შიდსის პრევენცია, განათლება და ქალთა მიმართ ძალადობის შეწყვეტა.

9. **იო-იო მა** ჩინური წარმოშობის, პარიზში დაბადებული და ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლებამიღებული, უთვალავი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი ჩელისტია.
აღიარებული მუსიკოსი იო-იო მა ძალ-ღონეს არ იშურებს ახალგაზრდული აუდიტორიისთვის მუსიკის გასაცნობად და ახალგაზრდებში გაეროს ღირებულებების პოპულარიზაციისთვის. იო-იო მა გაეროს მშვიდობის დესპანია 2006 წლიდან.
2007 წელს იო-იო მამ ჩაწერა DVD, რომლითაც მხარს უჭერდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კამპანიას ანემიის გავრცელების დასასრულებლად. მუსიკოსი დარწმუნებულია, რომ მუსიკას შეუძლია მაგნიტივით იმოქმედოს ადამიანების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. 2014 წელს მან დაიწყო პროექტი „სილქ როუდ ორკესტრი", რომელიც მიზნად ისახავს უძველესი აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნების კულტურული, მხატვრული და ინტელექტუალური ტრადიციების შესწავლას და რომელიც მოიცავს სხვადასხვა კულტურას ხმელთაშუა ზღვიდან დაწყებული წყნარი ოკეანის სანაპიროებამდე. "სილქ როუდ ორკესტრის" მუსიკოსებმა უძველესი სავაჭრო გზის მარშრუტის მიხედვით, დაახლოებით, 6 500 კილომეტრი გაიარეს. წარსულისგან განსხვავებით, ხელოვანები სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას აბრეშუმის, ძვირფასი ქვებისა და ნელსაცხებლების ნაცვლად, მუსიკალურ შედევრებს სთავაზობენ. ჩელისტი იო იო მა ამბობს, რომ "სილქ როუდ ორკესტრის" მთავარი მისია ემოციებით მართული განათლების გაზიარებაა. ამიტომაც, გასტროლების დროს ორკესტრის წევრები ზოგიერთ ქვეყნაში დროებით რჩებიან და სხვადასხვა ქალაქში ვორქშოფებს ატარებენ. „ჩვენ გარკვეულწილად ცნობისმოყვარეობა გვამოძრავებს. გვაინტერესებს, თუ რამდენი ქვეყანა შეიძლება მშობლიური გახდეს და რისი გაკეთების უნარი შესწევს ადამიანს.“ - ამბობს მუსიკოსი.

2019 წელს მან ტეხასში, აშშ-სა და მექსიკის საზღვარზე იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოები შეასრულა და მსმენელებს მშვიდობისკენ მოუწოდა. შემსრულებლის თქმით, მუსიკა ადამიანებს აერთიანებს, იმის მიუხედავად, თუ როგორი კულტურული განსხვავებებია მათ შორის: "ჩემი ცხოვრება საზღვრებთან გავატარე, სხვადასხვა კულტურას შორის, სხვადასხვა წესსა და თაობაში. კულტურაში ჩვენ ხიდებს ვაგებთ და არა კედლებს. ქვეყანა სასტუმრო არაა, რომელიც ივსება და სხვების ადგილი აღარ რჩება".

საქმიანობის სფერო: ახალგაზრდობა, კულტურული მრავალფეროვნება, ურთიერთთანამშრომლობა.

10. **მალალა იუსაფზაი** გოგონების განათლებისთვის ბრძოლის საერთაშორისო სიმბოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც 2012 წელს მისი დახვრეტა სცადეს, რადგანაც ხმამაღლა საუბრობდა თალიბანის წინააღმდეგ, ქალთა განათლების შეზღუდვის გამო მის მშობლიურ პაკისტანში. 2009 წელს მალალამ, ფსევდონიმით, ბლოგების წერა დაიწყო მის მშობლიურ ქალაქში ბრძოლების გააქტიურებასა და მის სკოლაზე შესაძლო თავდასხმის შესახებ. მას შემდეგ, რაც მისი ვინაობა გამჟღავნდა, მალალა და მისი მამა ზიაუდინი აგრძელებდნენ ხმამაღლა საუბარს განათლების უფლებისთვის.
    2012 წლის 9 ოქტომბერს თალიბები თავს დაესხნენ მალალას, როცა ის მეგობრებთან ერთად სკოლიდან ბრუნდებოდა. ეს ფაქტი მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო. პაკისტანში 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი პეტიციას განათლების უფლებისთვის და ეროვნულმა ასამბლეამ კანონის რატიფიცირება მოახდინა პაკისტანში უფასო სავალდებულო განათლების უფლების შესახებ.
    2013 წელს მალალამ და მისმა მამამ დააარსეს მალალას ფონდი, რათა ხაზი გაუსვან გოგონების განათლების სოციალურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას და მისცენ გოგონებს მეტი შესაძლებლობები ცვლილებების მოსათხოვად. 2014 წლის დეკემბერში მალალა ნობელის მშვიდობის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი გახდა. 2017 წელს, გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა მალალა გაეროს მშვიდობის დესპანად დანიშნა, რათა ხელი შეუწყოს გოგონების განათლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

საქმიანობის სფერო: გოგონების განათლება.

11. იაპონელ და ამერიკელ მევიოლინეს, **მიდორი გოტოს** დებიუტი 11 წლის ასაკში ჰქონდა. მას შემდეგ მის ბიოგრაფიაში მრავალი მიღწევაა, რომლებიც

ახასიათებს მას როგორც მუსიკოსს, ნოვატორსა და ბავშვთა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის ერთგულ ადვოკატს.
1992 წელს მიდორმა ნიუ-იორკში არაკომერციული ორგანიზაცია „მიდორი და მისი მეგობრები“ (Midori and Friends) დააარსა, რომელიც ყოველწლიურად ათასობით სოციალურად დაუცველ ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ მუსიკალურ საგანმანათლებლო პროგრამებში. კიდევ ორი ორგანიზაცია, „Music for All“ (დაფუძნებული იაპონიაში) და „Partners in the Performing Arts“ (დაფუძნებული შეერთებულ შტატებში), ასევე ცდილობს მუსიკა გააცნოს იმ ადამიანებს, რომლებიც, სავარაუდოდ, სხვაგვარად ვერასდროს შეხვდებოდნენ ხელოვნების ამ დარგს.
როგორც მშვიდობის დესპანი, მიდორი აგრძელებს ახალგაზრდებში საზოგადოების სრულფასოვანი წევრობის გრძნობისა და, მუსიკალური განათლების საშუალებით, ერთმანეთისგან სწავლის სურვილის განვითარებას.

საქმიანობის სფერო: ახალგაზრდობის საკითხები, თანამშრომლობა, განათლება.

12. სტივენ ჰარდუეი მორისი უფრო მეტად ცნობილი ფსევდონიმით **სტივი უანდერი** ამერიკელი მუსიკოსი, მომღერალი, სიმღერების ავტორი, პროდიუსერი და მულტიინსტრუმენტალისტია.
გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა მომღერალი გაეროს მშვიდობის ელჩად 3 დეკემბერს - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს დანიშნა. ამ თანამდებობაზე წარდგენისას უანდერმა მოუწოდა ყველა ქვეყნის ლიდერებს, გადაედგათ ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ცხოვრების გასაადვილებლად და პირობა დადო, რომ თვითონ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ყურადღება მიიპყროს მათ პრობლემებზე. „დღეს საოცარი დღეა, რადგან ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი პატივი მექნებოდა“, - განაცხადა მომღერალმა. ”ეს შთამაგონებს გავაკეთო ბევრი ახალი კარგი საქმე მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში. მწყინს, რომ ახალ ათასწლეულში ადამიანები კვლავ დისკრიმინირებულნი არიან, რადგან ისინი შეზღუდული შესაძლებლობების არიან“.
გაეროს მონაცემებით, დღეს მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 10% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია; თუ დავუმატებთ მათ, ვინც შშმ პირებზე ზრუნავს, დაზარალებულთა რიცხვი 670-დან 800 მილიონამდე იქნება. მუსიკოსი, რომელიც დაბადებიდან ევრ ხედავს, დიდ ყურადღებას უთმობს ქველმოქმედებას და ბრძოლას ადამიანის უფლებებისთვის. „აღფრთოვანებული ვარ სტივი უანდერით, რადგან იგი მუდმივად იმაღლებს ხმას და იყენებს თავის განსაკუთრებულ ურთიერთობას საზოგადოებასთან იმისათვის, რომ ეს სამყარო უკეთეს ადგილად აქციოს, დაიცვას ადამიანის უფლებები და სამოქალაქო

უფლებები მათთვის, ვინც ნაკლებად იღბლიანია. სტივი უანდერი გახდა ჭეშმარიტი მაგალითი ახალგაზრდებისთვის მთელ მსოფლიოში და აჩვენა, რისი მიღწევაა შესაძლებელი ფიზიკური შეზღუდვების მიუხედავად“, - განაცხადა გაეროს იმდროინდელმა გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა.
1980-იან წლებში უანდერი იყო მოძრაობის აქტივისტი, რომლის მიზანი იყო მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე შეერთებულ შტატებში ეროვნულ დღესასწაულად ექცია. ის აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდისა და ეთიოპიაში შიმშილის საწინააღმდეგო კამპანიებში. უანდერი ასევე იყო შშმ პირების, შიდსით, კიბოთი, დიაბეტით და სხვა მძიმე დაავადებებით დაავადებულთა მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზატორი. მის სიმღერებში ხშირადაა საუბარი უსახლკარობის, შიდსისა და ოჯახში ძალადობის პრობლემებზე.
კარიერის განმავლობაში მომღერალმა 25 გრემი მიიღო. ის კონცერტებიდან შემოსული თანხის ნაწილს საქველმოქმედო ფონდებს სწირავს. უანდერის სიმღერა Signed, Sealed, Delivered ბარაკ ობამამ თავისი საარჩევნო კამპანიის დროს გამოიყენა.

საქმიანობის სფერო: ადამიანის უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების პირები, შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლა.

13. ჩინელმა პიანისტმა **ლანგ ლანგმა,** ორი წლის ასაკში, ტომი და ჯერის მულტფილმების სერიიდან კატის კონცერტის ეპიზოდი ნახა, რომელშიც ფრანც ლისტის უნგრული რაფსოდია N2 ჟღერდა. ლანგ ლანგის თქმით, ეს იყო მისი პირველი შეხება დასავლურ მუსიკასთან, რის შემდეგაც გაუჩნდა სურვილი, ესწავლა ფორტეპიანოზე დაკვრა. 5 წლის ასაკში ლანგმა პირველი ადგილი დაიკავა საფორტეპიანო კონკურსზე შენიანგში და ამავე დროს, თავისი პირველი სოლო კონცერტიც გამართა. 1997 წელს ლანგ ლანგის ოჯახი ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში, სადაც პიანისტი ახლაც ცხოვრობს.
ლანგ ლანგი თვლის, რომ მისი მისია მსოფლიოში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და, განსაკუთრებით, ბავშვებისა და ახალგაზრდა მუსიკოსების სწავლებაა. 2008 წლის ოქტომბერში ლანგ ლანგმა ნიუ-იორკში, გრემისა და UNICEF-ის მხარდაჭერით, საერთაშორისო მუსიკალური ფონდი დააარსა, რომლის მიზანი ბავშვების ცხოვრების კლასიკური მუსიკით გამდიდრებაა. ჩვენი დროის ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მუსიკოსმა, ლანგ ლანგმა ფორტეპიანოზე დაკვრა სამი წლის ასაკში დაიწყო. მას შემდეგ ის მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრებთან და მაესტროებთან მუშაობს და სრულად იყენებს თავის ხელოვნებასა და უნარს, რომ შთააგონოს მაყურებელი მთელ მსოფლიოში, დაეხმარონ ბავშვებს ცხოვრების გაუმჯობესებაში.

2008 წლის ოქტომბერში ლანგ ლანგმა ნიუ-იორკში, გრემისა და UNICEF-ის მხარდაჭერით, დააარსა თავისივე სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფონდი (Lang Lang International Music Foundation), რომლის მისიაა ბავშვების ცხოვრების გახალისება და გამდიდრება კლასიკური მუსიკით. ფონდი მუშაობს იმ რწმენით, რომ მუსიკას, როგორც უნივერსალურ ენას და სოციალური განვითარების საშუალებას, შეუძლია დაეხმაროს ახალგაზრდებს კულტურული განსხვავებების დაძლევაში და ხელი შეუწყოს საზოგადოებების გაერთიანებას. ლანგ ლანგი, როგორც მშვიდობის დესპანი, ბევრს მუშაობს გლობალური მოქალაქეობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

საქმიანობის სფერო: გლობალური განათლება, გლობალური მოქალაქეობა.

2. ზემოთ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, გაეროს თითოეული მშვიდობის დესპანის საქმიანობის სფერო დააკავშირეთ მდგრადი განვითარების მიზნებთან.

მშვიდობის დესპანი	**საქმიანობის სფერო**	**მდგრადი განვითარების მიზანი**
პაულო კოელიო		
მალალა იუსუფზაი		
მიდორიო გოტო		
სტივი უანდერი		
იო იო მა		
შარლიზ ტერონი		
ედვარდ ნორტონი		
მაიკლ დუგლასი		

პრინცესა ჰაია ბინტ ალ ჰუსეინი		
ლეონარდო დი კაპრიო		
ჯეინ გუდოლი		
დანიელ ბარენბოიმი		
ლანგ ლანგი		

სასარგებლო ბმულები:

https://www.un.org

https://www.un.org/en/isotope-articles/9180/780